„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” კანონიდან გამომდინარე

სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი

(2006 წლის სექტემბერი — 2007 წლის ივნისი)

THE MONITORING OF USING LEGAL PROTECTION MECHANISMS

with respect to the law on “Prevention of the Domestic Violence, Protection and Assistance of the Victims of the Domestic Violence”

(September, 2006 – June, 2007)

თბილისი 2007

მონიტორინგი მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის - “ოჯახური ძალადობა” - ფარგლებში.
ფინანსური მხარდაჭერა - ამერიკის იურისტთა ასოციაცია/კანონის უზენაესობის ინიციატივა ABA Rule of Law Initiative

ავტორები: **ირმა ალადაშვილი**
ნინო ჩიხლაძე

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციაში.
კრილოვის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2007, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
ოჯახში ძალადობის საქმეებზე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების კვლევის მეთოდოლოგია	7
დასკვნა	14
Introduction	17
The Methodology of Researching of Using Legal Protection Mechanisms in Domestic Violence Cases	19
Summary	26

შესავალი

ძალადობა ოჯახში საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. იგი გლობალური სენია, რომელიც კლავს, აწამებს, ამახინჯებს ადამიანს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, სექსუალურად და ეკონომიკურად. მისგან არც ერთი საზოგადოება არ არის დაცული. მას არ გააჩნია საზღვრები კულტურის, საზოგადოებრივი თუ ეთნიკური კლასისადმი კუთვნილების, განათლების, ეკონომიკური ცენზისა და ასაკის თვალსაზრისით. განსხვავება მხოლოდ ძალადობის გამოვლინებასა და ტენდენციებშია ქვეყნებისა და რეგიონების მასშტაბით. **ძალადობა ოჯახში** ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც ლახავს პიროვნების უსაფრთხოებას, ღირსებას, თვითპატივისცემას და ზღუდავს მის უფლებას, ისარგებლოს ადამიანის ძირითადი თავისუფლებებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ქმედითი ღონისძიებები გაატარონ პრობლემის მოსაგვარებლად. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა საქართველოს პარლამენტის მიერ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის მიღება 2006 წლის 25 მაისს. კანონი მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივითა და (მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა) ამერიკის იურისტთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით. კანონის მიზანია, განისაზღვროს ის ქმედებები, რაც ახასიათებს ოჯახურ ძალადობას, შეიქმნას მისი გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძველი და, ამასთან, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ABA/RULI-ის პროექტის ფარგლებში განახორციელა კანონიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა იმის გამოვლენას, თუ რამდენად ეფექტურად დაიწყო საქართველოში იმპლემენტაცია ახალმა კანონმა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ," კერძოდ, რამდენად ხშირად მიმართავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი კანონით გათვალისწინებულ დაცვის მექანიზმებს (დამცავ და შემაკავებელ ორდერებს). ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევა დაფუძნებულია სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებიდან ოფიციალურად გამოთხოვნილ ინფორმაციაზე და მოიცავს თბილისს, აგრეთვე, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის

მიერ მოწოდებული მონაცემები ფარავს საქართველოს ყველა რეგიონს.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, *ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, რაც გამოიხატება: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით, იძულებით.*

კანონმდებლობაში პირველად განისაზღვრა ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რითაც მომზადდა იურიდიული საფუძველი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემისათვის.

ძალადობის თითოეული ფორმა, საქართველოს კანონის შესაბამისად, ასეა განმარტებული:

ა) **ფიზიკური ძალადობა –** *ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;*

ბ) **ფსიქოლოგიური ძალადობა –** *შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;*

ე) **ეკონომიკური ძალადობა –** *ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების შეზღუდვას.*

დ) **სექსუალური ძალადობა –** *სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;*

გ) **იძულება –** *ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვა.*

ფიზიკური ძალადობა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე ფსიქოლოგიური, მაგრამ მუდმივი შეურაცხყოფა და დამცირება, იძულებითი იზოლაცია, სოციალური მობილურობისა და

ეკონომიკური რესურსების შეზღუდვა, ძალადობის თანმდევი შიში ძალადობის უფრო დახვეწილი და, ამავე დროს, სასტიკი მეთოდებია. ფსიქოლოგიური ძალადობის უხილავი ხასიათი აძნელებს მის იდენტიფიცირებას, თუმცა, მსხვერპლები ამ დროს ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფებიან და თავს დაუცველად გრძნობენ.

აღნიშნული კანონის ინტერესებისათვის „ოჯახის წევრის“ ცნება გაფართოებულია და მოიცავს შემდეგ პირებს: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე. „ოჯახის წევრის“ ცნებიდან გამომდინარე, **მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება, ხოლო **მოძალადეს** წარმოადგენს ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ქვეყნების კანონმდებლობები, მათ შორის, საქართველოს კანონიც, ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადესათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, იყენებენ დამცავ და შემაკავებელ ორდერებს.

<u>*დამცავი ორდერი*</u> არის მოსამართლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

<u>*შემაკავებელი ორდერი*</u> არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება:

- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადესაგან დაცვის ზომები;
- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადესაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები;

- მოძალადეს მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- მოძალადეს ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები;
- მოძალადეს მიახლოების საკითხი მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

შემაკავებელ და დამცავ ორდერებს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის თანამშრომელი, უშუალოდ, ფაქტზე რეაგირების დროს (როცა კონკრეტული ძალადობის ფაქტის დროს ხდება პოლიციის გამოძახება) და იგი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. რაც შეეხება დამცავ ორდერს, იგი გამოიცემა სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე 10 დღის ვადაში.

<u>ოჯახში ძალადობის საქმეებზე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების კვლევის მეთოდოლოგია</u>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გამოითხოვა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VI[3] თავიდან გამომდინარე, შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რამდენი შემაკავებელი (სამართალდამცავი ორგანოებისაგან) და დამცავი (სასამართლო ორგანოებისაგან) ორდერია გამოცემული;
- აღნიშნული შემაკავებელი ორდერები რა სახის ძალადობაზეა გამოცემული, სტატისტიკური მონაცემები თითოეული სახის ძალადობაზე ცალ-ცალკე (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულება);
- რამდენ შემთხვევაშია მსხვერპლად წარმოდგენილი **ქალი** და რამდენ შემთხვევაში — **მამაკაცი**;

- რამდენ შემთხვევაში იყო ჩართული არასრულწლოვანი;
- მოძალადეს მიერ შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო რამდენ შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავს 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისამდე პერიოდს.

აღნიშნული ინფორმაცია გამოთხოვნილ იქნა შემდეგი ორგანოებიდან:

ქ. თბილისი

- ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო;
- ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია);
- საქართველოს გენერალური პროკურატურა.

იმერეთის რეგიონი

- ქუთაისის საქალაქო სასამართლო;
- საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო;
- დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა.

შიდა ქართლის რეგიონი

- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავა-ხეთის მთავარი სამმართველო;
- გორის რაიონის სასამართლო;
- შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო.

მოწოდებულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

<u>შემაკავებელი ორდერი</u>

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ **2006 წლის პირველი ნოემბრიდან**[1] **2007 წლის აპრილის ჩათვლით** გაცემულ იქნა *236 შემაკავებელი ორდერი*. მათ შორის:



აღნიშნულ წერილში არ იყო დაკონკრეტებული, რა სახის ძალადობაზე და ვისი დაცვის უზრუნველსაყოფად (ქალი, მამაკაცი, არასრულწლოვანი) გაიცა აღნიშნული შემაკავებელი ორდერები. ამის გამო, აღნიშნული უწყებიდან ინფორმაცია კიდევ ერთხელ გამოვითხოვეთ 2006 წლის 1 ნოემბრიდან 2007 წლის 1 ივნისამდე პერიოდზე. მიღებული პასუხი მოიცავს მხოლოდ 2006 წლის მონაცემებს, რითაც ვასკვნით, რომ დროის შუალედი შეადგენს 2006 წლის 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე პერიოდს:

[1] 1 ნოემბრიდან (კანონი ძალაში შევიდა 2006 წლის 9 ივნისს) ინფორმაციის გამოთხოვნა მოხდა შემდეგი მიზეზის გამო: შემაკავებელი ორდერის ფორმა შინაგან საქმეთა მინისტრის №1079 ბრძანებით დამტკიცდა 2006 წლის 11 სექტემბერს. თუმცა, ფორმები გამრავლდა და დარიგდა მხოლოდ 2006 წლის 17 ნოემბერს.

1.1. 2006 წელს **ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს** მიერ გაცემულია 96 *შემაკავებელი ორდერი.* მათ შორის, 87 შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა ქალი, ხოლო დანარჩენ 9 შემთხვევაში – მამაკაცი.

ზემოაღნიშნული შემაკავებელი ორდერები გაცემულია:





1.2. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარმა სამმართველომ გვაცნობა, რომ **2007 წლის 20 მაისამდე** შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს მიერ რეგისტრირებული და გაცემულია *20 შემაკავებელი ორდერი.* მათ შორის, 18 შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა ქალი, ხოლო დანარჩენ 2 შემთხვევაში – მამაკაცი.

ზემოაღნიშნული შემაკავებელი ორდერები გაიცა:

- ფსიქოლოგიური ძალადობა — 13
- ფიზიკური ძალადობა — 7
- ეკონომიკური ძალადობა — 3

1.3. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარმა სამმართველომ გვაცნობა, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარ სამმართველოში **2007 წლის თებერვლიდან 2007 წლის ივნისამდე** სულ დაფიქსირებულია ოჯახური კონფლიქტის 26 შემთხვევა. *15 მათგანზე გაიცა შემაკავებელი ორდერი.*

<u>საერთო ჯამი (შინაგან საქმეთა სამინისტრო)</u>

გეოგრაფიული ერთეული	**შემაკავებელი ორდერი**
თბილისი	236
იმერეთის რეგიონი	20
შიდა ქართლის რეგიონი	15
ჯამი	**271**



<u>2. სასამართლო</u>

21. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, **2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის აპრილის** მდგომარეობით, დამტკიცებულ იქნა *210 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის* დამტკიცების მოთხოვნით, მათ შორის, ორი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ზემოაღნიშნული შემაკავებელი ორდერები დამტკიცებულია ძალადობის შემდეგი ფორმების დროს:

ძალადობის ფორმა	**რაოდენობა**
ფიზიკური ძალადობა	9
ფსიქოლოგიური ძალადობა	86
ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა	93
ეკონომიკური ძალადობა	4
ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა	6
ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა	4
ეკონომიკური და ფიზიკური ძალადობა	2
ფსიქოლოგიური ძალადობა და იძულება	2
სექსუალური ძალადობა	1
ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა და იძულება	1
ფსიქოლოგიური, ფიზიკური ძალადობა და იძულება	1
იძულება	1
საერთო ჯამი	**210**

მსხვერპლად წარმოდგენილია: ქალი – 189 შემთხვევაში, მამაკაცი – 25 შემთხვევაში და არასრულწლოვანი – 3 შემთხვევაში.

2.2. ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2007 წლის 20 ივნისამდე განხილულ იქნა 18 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით. აქედან, დაკმაყოფილდა მხოლოდ *15 (ფიზიკურ ძალადობაზე)*, არ დაკმაყოფილდა სამი შუამდგომლობა. 13 შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენს ქალი, მხოლოდ 1 შემთხვევაში – მამაკაცი, ხოლო 1 შემთხვევაში შემაკავებელი ორდერი დამტკიცებულ იქნა არასრულწლოვანი პირის დაცვის მიზნით. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ერთ საქმეზე.

2.3. გორის რაიონულმა სასამართლომ გვაცნობა, რომ **2006 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 20 ივნისამდე** სასამართლოს მიერ დამტკიცდა 19 *შემაკავებელი ორდერი.*

შემაკავებელი ორდერები დამტკიცდა შემდეგი სახის ძალადობებზე:

ძალადობის სახე			
ფსიქოლოგ.	**ფიზიკური**	**ეკონომიკ.**	**ფსიქოლოგ. -ფიზიკური**
13	2	1	3
ჯამი - 19			

მსხვერპლად წარმოდგენილი იყო: ქალი – 15 შემთხვევაში და მამაკაცი — 4 შემთხვევაში.

<u>საერთო ჯამი (სასამართლოს მიერ დამტკიცებული):</u>

გეოგრაფიული ერთეული	**შემაკავებელი ორდერი**
თბილისი	210
იმერეთის რეგიონი	15
შიდა ქართლის რეგიონი	19
ჯამი	**244**

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, **2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ივნისის** ჩათვლით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანოებში გადაიგზავნა *372 შემაკავებელი ორდერი*, აქედან:

თბილისის პროკურატ.	**აჭარის** ავტ. რესპ. პროკურატ.	**კახეთის** საოლქო პროკურატ.	**შიდა ქართლის** საოლქო პროკურატ.	**ქვემო ქართლის** საოლქო პროკურატ.	**დას. საქ-ოს** საოლქო პროკურატ.	**სამეგრელო-ზემო სვანეთის** საოლქო პროკურატ.	**მცხეთა-მთიანეთის** საოლქო პროკურატ.	**სამცხე-ჯავახეთის** საოლქო პროკურატ.
273	53	3	11	16	15	1	0	0
საერთო ჯამი - 372								

ზემოაღნიშნული შემაკავებელი ორდერების საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

3.1. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ინფორმაციით, **2006 წლის სექტემბრიდან 20 ივნისამდე** საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოდან მიღებულია *19 შემაკავებელი ორდერის ოქმი.*

<u>დამცავი ორდერი</u>

1. **ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია)** მოგვაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, *2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის აპრილის მდგომარეობით*, დამტკიცებული იქნა **<u>5 დამცავი ორდერი</u>**, მათ შორის, ერთი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ხუთივე შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენდა ქალი, ხოლო ერთ მათგანში მსხვერპლის სახით წარმოდგენილი იყო არასრულწლოვანი. ოთხი დამცავი ორდერი გამოცემული იქნა ოჯახში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, ხოლო ერთი — ფსიქოლოგიური ძალადობის აღკვეთის მიზნით.
2. **ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს** მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2006 წელს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ დამცავი ორდერი არ გაცემულა.
3. **გორის რაიონულმა სასამართლომ** გვაცნობა, რომ *2006 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 20 ივნისამდე* გორის რაიონულმა სასამართლომ გამოსცა 6 დამცავი ორდერი შემდეგი სახის ძალადობებზე:

ძალადობის სახე			
ფიზიკურ-ეკონომიკური	**ფიზიკური**	**ფსიქოლოგიურ-ფიზიკური**	**ფსიქოლოგიურ-ეკონომიკური**
1	1	2	2

მსხვერპლად წარმოდგენილი იყო: ქალი – 2 შემთხვევაში და მამაკაცი — 4 შემთხვევაში.

<u>ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ:</u>

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საერთო სურათი ასე გამოიყურება:

გეოგრაფიული ერთეული	**შემაკავებელი ორდერი (შ.ო)**	**დამცავი ორდერი (დ.ო)**
თბილისი	210	5
იმერეთის რეგიონი	15	0
შიდა ქართლი	19	6
საერთო ჯამი	**244**	**11**

შემაკავებელი ორდერი



საერთო ჯამი 244

დამცავი ორდერი



საერთო ჯამი 11

გეოგრაფიული ერთეული	**ქალი მსხვერპლი**	**მამაკაცი მსხვერპლი**	**არასრულწლოვანი**
თბილისი	189(შ.ო)+5(დ.ო)	25(შ.ო)	3
იმერეთის რეგიონი	13	1	1
შიდა ქართლი	15(შ.ო)+2(დ.ო)	4(შ.ო)+4(დ.ო)	0
საერთო ჯამი	**224**	**34**	**4**

რაც შეეხება ძალადობის გამოვლინების ფორმებს, კვლევამ დაგვანახა, რომ ყველაზე ხშირად ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელსაც მოსდევს და თითქმის არ ჩამორჩება ფიზიკური ძალადობა. ეკონომიკური ძალადობა, იძულება და სექსუალური ძალადობა ერთეულის სახით დაფიქსირდა.

რაც შეეხება ჩვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენ შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა მოძალადის მიერ შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გარდა, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არც ერთ უწყებას არ გაუცია, რაც გვაფიქრებინებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა, გარდა ერთი შემთხვევისა, არ დაწყებულა.

აქ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ოფიციალური ინფორმაცია, როცა, კანონის შესაბამისად, პირმა მიმართა სამართალდამცავ ან სასამართლო ორგანოს. რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტების არაოფიციალურ ინფორმაციას, როცა მსხვერპლი ჯერ კიდევ

ცდილობს, დაფაროს და არ გაამჟღავნოს თავისი მძიმე (ძალადობასთან დაკავშირებული) ოჯახური მდგომარეობა და არ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, **ძალიან მაღალია.**

გამოკითხულთა სამი მეოთხედის (76,9%) აზრით, ოჯახში ძალადობის ფაქტებს ძალადობის მსხვერპლი, მისი ოჯახის წევრები და ახლობლები საზოგადოებისაგან მალავენ. 9.8% აზრით, ძალადობის მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის გამჟღავნება თუ ხდება. მხოლოდ 4.8% ფიქრობს, რომ ძალადობის შემთხვევებს მსხვერპლი და მისი ოჯახის წევრები არ მალავენ.[2]

საქართველოში, ერთი წელია, რაც ოჯახში ძალადობის პრობლემა ხელისუფლების მხრიდან, გარკვეულწილად, ყურადღების ქვეშ მოექცა, რასაც ადასტურებს როგორც სპეციალური კანონის მიღება, ისე – დიდი დაგვიანებით, მაგრამ, მაინც – სამოქმედო გეგმის დამტკიცება. მართალია, აღნიშნული სამოქმედო გეგმა მთავრობის მიერ განსახორციელებელი საქმიანობების მცირე ჩამონათვალს გვთავაზობს, მაგრამ, ამ ეტაპზე, აღნიშნული საქმიანობების განხორციელებაც საკმაოდ კარგ შედეგს მოგვცემს მსხვერპლთა დაცვის თვალსაზრისით. მთავარია, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები 2008 წლის ბოლომდე შესრულდეს. ოჯახში ძალადობის პრობლემა არანაკლებ მწვავედ დგას რეგიონებშიც. თუმცა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რეგიონები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, რაც, ძირითადად, საზოგადოების ინფორმირებულობისა და, ამ კუთხით, მათი ცნობიერების დაბალი დონით შეიძლება აიხსნას. სწორედ ამიტომ, კანონის სრული და ეფექტური იმპლემენტაციისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის წარმოება, საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებისათვის ეფექტური ღონისძიებების გატარება და კანონის შემდგომი დახვეწა.

ბოლო დროს ოჯახში ძალადობის პრობლემამ, მისმა გამომწვევმა მიზეზებმა და შედეგებმა უფრო ფართო გამოხმაურება და დაინტერესება ჰპოვა. საერთაშორისო საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ ეს საკითხი გაცილებით მეტ ყურადღებასა და მუშაობას საჭიროებს, რაც კიდევ ერთხელ დაგვანახა ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ. ღრმად ფესვგამდგარი ტრადიციული მიდგომებისა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული, ჯერ კიდევ დამუშავების ეტაპზე მყოფი ეფექტური სტრატეგიის ნაკლებობის გამო, პროგრესი ნელა მიმდინარეობს. შედეგად, მსოფლიოში ოჯახში ძალადობის გამო ადამიანები კვლავ იტანჯებიან და ეს მაჩვენებელი, სახელმწიფოების მიხედვით, 20-დან 50 პროცენტამდე მერყეობს (განსაკუთრებით ქალები).

[2] ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის საბაზისო კვლევა, საქართველო, 2006, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა, გვ.14.

INTRODUCTION

Domestic violence is one of the most topical problems of the society. It is a global disease which kills tortures and mars humans physically, mentally, sexually and economically. No society is protected from it. It does not possess boarders with respect to culture, public, ethnic or economic belonging, education or age. The difference lies in the ways and trends of domestic violence according to the states and regions. Domestic violence is one of the most wide spread human rights violations that encroaches human security, honor, self-respect and restricts right of people to enjoy the main human rights and freedoms.

Considering it, states should carry out pro-active measures to solve the problem. Adoption of the law on "Prevention of domestic violence and protection and assistance of the victims of domestic violence" on May 25, 2006 by the Parliament of Georgia should be considered as a positive step. The law has been prepared by GYLA initiative and by the financial contribution of the American Bar Association (Various state and non-governmental organizations participated in the process of preparing the draft). The law aims to identify the activities specific to the domestic violence and create the legislative basis for revealing and preventing domestic violence, as well as to define legal and social protection mechanisms for the victims of domestic violence.

The Georgian Young Lawyers' Association in the frames of the ABA/RULI project carried out monitoring of using legal protection mechanisms with respect to the law on

Domestic Violence in the law enforcement and judiciary organs. The research aimed to reveal how effectively was the new law on "Prevention of Domestic Violence, protection and assistance of the victims of domestic violence" carried out in real life. In particular, how often do the victims of domestic violence apply to legal protection mechanisms (protective and restrictive orders). The research is underpinned by the official documents retrieved from the law enforcement and judiciary organs and covers Tbilisi, Imereti and Shida Kartli regions. We should also emphasize that data provided by the General Prosecutors' office covers all the regions of Georgia.

According to the law on "Prevention of the domestic violence and protection and assistance of the victims of domestic violence", domestic violence stands for violation of the constitutional rights and freedoms of one family member by the other, in conjunction with

- physical
- psychological
- economic

- sexual violence
- coercion or threat

It was the first case when the law defined the concept of domestic violence, as well as prepared the legal bases for issuing protective and restrictive orders.

The Law of Georgia defines each forms of domestic violence in a following way:

a. **Physical violence** – battery, torture, injury, restriction of liberty or any other action that causes physical pain or suffering, or failure to meet requirements concerning state of health that may cause harm to the health or lead to the death of a family member;
b. **Psychological violence** – offence, blackmail, degrading treatment, threat or any other act that violates pride and dignity of the human being;
c. **Coercion –** physical or psychological coercion of the person to perform or to abstain from performing an act, performance or non-performance of which represents the right of a person, or coercion to stand certain influence against his/her will; as well as restriction to enjoy the right to benefit from the property that is in joint possession or to manage his/her share;
d. **Sexual violence** – sexual intercourse by violence, threat of violence or by using a vulnerable condition of a victim, as well as sexual intercourse with or other act of sexual nature or immoral act against the minor;
e. **Economic violence** – an act that causes restriction of the food, shelter and other necessary conditions for normal development, restriction of the right to engage in labor activities.

Physical violence is more vivid than psychological, however permanent abuse and degrading treatment, isolation by force, restriction of social mobility and economic resources, permanent fear that accompanies coercion are more developed and at the same time severe methods of violence. Invisible character of psychological violence complicates its identification. The victims, however, at that time are under the psychological stress and feel unprotected.

For the purpose of the law the concept of the "family member" is broader and includes: mother, father, grandfather, grandmother, spouse, child (stepchild), adopted child, foster parents, grandchild, siblings, parents of spouse, children-in-law, former spouse, persons in non-registered cohabitation, guardians, as well as persons who live or lived together. Considering the concept of "family member" a victim is a family member, experiencing physical, psychological, sexual, economic violence or coercion, while the violator is a member of family who inflicts physical, psychological and economic violence or coercion against another family member.

The legislators of the various countries, including the Georgian legislation, apply protective and restrictive orders- as a temporary measures issued by the competent agency or an official for swift reaction of the case of domestic violence with a view to protect victims of domestic violence and restrict certain actions of a violator.

A protective order is an act issued by a court judge, which defines temporary protection measures of victims in cases of domestic violence.

A restrictive order is an order issued by the police, which defines temporary protection measures of victims in cases of domestic violence and which shall be submitted to the court for approval within 24 hours.

The temporary protection measures include:

- Measures of protection of the victim, his/her dependent;
- Separation of a victim, his/her dependants from the abuser and placement in the shelter;
- Prohibiting the violator from arbitrary use of joint possessions;
- Separation of an abuser from children, regulation of his/her visits to and relations with children;
- Obligation of the abuser to keep distance from the victim, his/her workplace and other places where the victim is present;
- Other issues necessary for the security of a victim.

The difference among the restrictive and protective orders is the following: the policeman issues a restrictive order immediately, when reacting on the fact, when the police is summoned at the moment of abuse. The act should be submitted to the court for approval within 24 hours. As for the protective order, it is issued within 10 days by a court upon application of a competent person.

THE METHODOLOGY OF RESEARCHING OF USING LEGAL PROTECTION MECHANISMS IN DOMESTIC VIOLENCE CASES

Considering Articles 37,38 and 40 of the General Administrative Code the Georgian Young Lawyers' Association requested following information on the basis of the law on "Prevention of the domestic violence, protection and assistance of the victims" and Chapter VII(3) of the Georgian Administrative Procedures Code. In particular:

- how many restrictive orders (from law enforcement agencies) and protective orders (from judiciary organs) were issued;

- on what type of violations where the restrictive orders issued, statistic data on each type of violence separately (physical, psychological, sexual, economical and coercion)
- the number of victim men and women;
- the number of minors.
- the number of initiated criminal persecutions against violators for failure to fulfill requirements envisaged by the restrictive and protective orders.

The research covers the period from September 2006 until June 2007.

The information has been requested from the following agencies:

Tbilisi

- The main department of the Tbilisi Patrol Police
- Tbilisi City Court (Administrative board)
- The General Prosecutor's Office of Georgia

Imereti region

- Kutaisi city court
- Imereti main department of the Patrol Police of the Ministry of Interior
- District Prosecutor's office of the West Georgia

Shida Kartli region

- The main department of the Patrol Police of the Shida Kartli and Samtskhe Javakheti regions of the Ministry of Interior;
- Gori regional court;
- The main department of the Patrol police of the Shida Kartli region

Following information was delivered:

Restrictive orders

1. **The Ministry of Interior**

The main department of Tbilisi Patrol Police – 236 restrictive orders were issued by Patrol-inspectors from November 2006[3] until April 2007. Among them:



The letter, however, did not specify the types of violence and gender of victims of domestic violence. For the reason we requested information once again on the period of November 1, 2006 - June 1, 2007. The received answer cover only the data of 2006, by which we conclude that it pertains to the period November1, 2006 - December 1, 2006.

[3] Information (The law was enacted on June 9, 2006) was requested from November 1 for the following reasons: The form of the restrictive order was approved by the order of the Minister #1079 on September 1,2006. However the forms were copied and disseminated only on November 17, 2006.

1.1. In 2006 **the main department of Tbilisi Patrol Police** issued 96 restrictive orders. In 87 cases victims were women, in the rest 9 cases –men. The orders were issued:





1.2.**The main department of the Patrol Police (Imereti region)** of the Ministry of Interior informed us that since May 20,2007 the department registered and issued 20 restrictive orders. Among them in 18 cases victims were women, in two cases men. Restrictive orders were issued for:

- Psychological violence -13;

- Physical violence -7;

- Economic violence -3

1.3. The main department of Shida Kartli and Samtskhe Javakheti regions of the Patrol Police of the Ministry of Interior informed that since February 2007 until June 2007 26 cases of domestic violence were identified. Restrictive order was issued on 15 cases.

THE TOTAL AMOUNT (THE MINISTRY OF INTERIOR)

Geographic unit	Restrictive order
Tbilisi	236
Imereti region	20
Shida Kartli region	15
total	271



2. Judiciary

2.1. According to the information submitted by the **Tbilisi city court (administrative board)** since September 2006 until April 2007 210 solicitations have been approved by the Administrative board with a request to satisfy restrictive orders, among them two solicitations were approved partially. In 189 cases victims were women, in 25 cases men, while in three cases restrictive orders have been approved with a view to protect a minor.

Restrictive orders have been approved during the following types of violence:

Type of violence	**Quantity**
physical violence	9
psychological violence	86
psychological and physical violence	93
economic violence	4
economic, physical and psychological violence	6
economic and psychological violence	4
economic and physical violence	2
psychological violence and coercion	2
sexual violence	1
psychological, sexual violence and coercion	1
psychological, physical violence and coercion	1
coercion	1
total	**210**

2.2. Until June 20, 2007 Kutaisi city court discussed 18 solicitations with a demand to approve restrictive orders. Among them only 15 were satisfied (physical violence), three solicitations were not satisfied. In 13 cases victim is a women in one case a men in one case restrictive order has been approved with a view to protect juveniles. Criminal persecution has been initiated on one case.

2.3. Gori regional court informed that, since September 1, 2006 until June 20, 2007 19 restrictive orders were approved.

Restrictive orders were approved on the following abuses:

Type of violence			
Psychological	**Physical**	**Economical**	**Psychological-physical**
13	2	1	3
total-19			

Among victims 15 were women and 4 - men

The Total (courts)

Geographic unit	**Restrictive order**
Tbilisi	210
Imereti region	15
Shida Kartli region	19
total	**244**

According to the information submitted by the General Prosecutor's Office, since September 2006 until June 2007 372 restrictive orders were send from the department of the patrol police of the Ministry of Interior to the agencies of the General Prosecutor's office. Among them

- Tbilisi prosecutor's office – 273;
- Prosecutor's office of Adjara Autonomous Republic-53;
- Kakheti district prosecutor's office – 3
- Shida Kartli district prosecutor's office – 11
- Kvemo Kartli district prosecutor's office – 16;
- District prosecutor's office of the West Georgia -15
- District prosecutor's office of the Samegrelo-Zemo Svaneti region – 1
- Mtskheta -Mtianeti district prosecutor's office -0
- Samtskhe-Javakheti district prosecutor's office -0

No criminal persecution has been initiated on the bases of the mentioned restrictive orders.

3.1. The district prosecutor's office of the West Georgia received 19 restrictive orders since September 20, 2006 until June 20.

PROTECTIVE ORDER

1, **Tbilisi City Court (administrative board) submitted the following information:** Since September 2006 until April 2007 5 protective orders have been approved. Among them one was satisfied partially. In all the five cases victim was a women, while in one case a minor was presented. Four protective orders have been submitted in the family for prevention of the physical and psychological violence and one for prevention of psychological violence.

2. **According to the information submitted by the Kutaisi city court,** in 2006 Kutaisi district court did not issue any protective orders.

3. **Gori regional court informed that since** September 1, 2006 until June 20, 2007 Gori regional court issued 6 protective orders on the following types of violations "

Physical- economical	1
Physical	1
Psychological-physical	2
Psychological-economical	2

Two victims were women and four men.

SUMMARY:

The research revealed the following picture:

Geographical unit	**Restrictive order (r.o.)**	**Protective order (p.o)**
Tbilisi	210	5
Imereti region	15	0
Shida Kartli	19	6
total	244	11

restrictive order



protective order



–

Geographical unit	victim women	victim men	minor
Tbilisi	189 (r.o.) + 5 (p.o.)	25 (r.o)	3
Imereti region	13	1	1
Shida Kartli	15 (r.o)+2 (p.o)	4 (r.o.)+ 4 (p.o)	0
Total	**224**	**34**	**4**

As for the forms of violence, the research demonstrated that most often we encounter psychological violence, after it comes physical violence. However, we also met single cases of economic violence and coercion and rarely sexual violence.

As for the information requested by us on initiating of criminal persecution against a violator for failure to fulfill requirements envisaged by law, save Kutaisi city court none of the agencies answered the question. It makes us think that criminal persecution has not been initiated except the single case.

Hereby we have submitted only official information when a person applies to the law enforcement and judiciary agencies. As for the unofficial information with regard to the facts of violence, when the victim tries to conceal and not to reveal her/his conditions and does not apply to law enforcement agencies, the percentage is very high. “3/4 (76,9%) of the enquired think that victims of violence, family members

and relatives hide facts of violence from the society. 9, 8% think that only some facts are revealed, only 4.8 consider that victims of violence and their family members do not hide cases of violence."[4]

It is already a year that the Georgian government paid attention on the problem of domestic violence. It adopted a special law and however with delay, approved an activity plan. Even though the activity plan suggests only the small list of activities, carrying out of the listed activities will still generate a positive outcome concerning victim protection. The main issue is that goals set by the activity plan should be reached by the end of 2008. The problem of domestic violence is equally topical in the region, however the research demonstrated that regions are rarely presented. The reason is the low public awareness in rural areas. Therefore, for the full and effective implementation of the law it is important to carry out information campaign, increase public awareness in that direction and develop the law.

Last time, the problem of domestic violence and its causes and results generated wide response and interest in public. International community acknowledged unanimously, that the issue requires great attention and activity. The research conducted by us showed it again. For the reason of deeply rooted traditional approaches and for the lack of effective strategy directed for elimination of domestic violence, the progress is slow. Consequently, families still suffer from violence and the indicator varies from 20 to 50 percent. (Women are in majority).

[4] The basic research of public opinion with regard to domestic violence, Georgia, 2006, American Bar Association legal initiative of Central Europe and Eurasia.